ხელშეკრულება №26
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო - 21 ნოემბერი 2019 წელი

ერთის მხრივ **ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება ს/ვ 429651717** (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი დირექტორის **ზვიად მინაშვილის** სახით და მეორეს მხრივ **ი/მ „გია ერემეიშვილი“** პ/ნ 17001003631 (შემდგომში მომსახურების გამწევი) წარმოდგენილი **გია ერემეიშვილის** სახით

ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. **ხელშეკრულების საგანია სულ 500(ხუთასი) ლარის ღირებულების შესყიდვა, კერძოდ: „სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები“ (CPV-44100000); „გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრო ნათურები” (CPV-31500000); „საწმენდი და საპრიალებელი პროდუქცია“ (CPV-39800000); „ელექტრო ენერგიის გამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურა“ (CPV-31200000); „კაბელები, მავთულები და მათთან დაკავშირებული მასალები“ (CPV-44300000);** (წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

2.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

3.1.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.
3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ა.(ა).პ ვანის „სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება (მის: ვანი, თავისუფლების ქ. 72).
3.3.შესყიდვის ობიექტის მოწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5. ანგარიშსწორების ვადა, ადგილი და გრაფიკი

5.1. მიმწოდებელი ანგარიშსწორებას აწარმოებს ლარებში.
5.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
5.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 კალენდალურ დღეში.

6. მხარეთაუფლება–მოვალეობები

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს: შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია: მოახდინოს ანგარიშსწორება მომწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად; უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება; მიაწოდოს ინფორმაცია მიმწოდებელს შესასყიდი საქონლის რაოდენობისა და მათი ნომინალური ღირებულების შესახებ.
6.3. მიმწოდებელს უფლება აქვს: მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია: დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისათვის

7.1. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატების დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებული იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
7.3. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ვადის გადამცილებელი მხარე ვალდებულია ყოველი გადაცილებული დღისათვის მეორე მხარეს პირგასამტეხლოს სახით აუნაზღაურებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,15% -ს.
7.4. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
7.5.ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან **2019 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ფორს–მაჟორი

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, საზოგადოებრივი არეულობა და სხვა) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატება.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების საფუძვლები

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
12.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
12.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. სხვა პირობები

13.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
13.2. არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.3. მესამე მხარესთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს და ინახება მხარეებთან, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
13.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
13.6. ნებისმიერი სახის დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი: ზვიად მინაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის „სასპორტო

დაწესებულებების გაერთიანება“

ს/კ 429651717

ვანი, თავისუფლების 72

_____ ბ.ა.

მიმწოდებელი: ი/მ „გია ერემეიშვილი“

მისამართი: ქ. ვანი, თამარ მეფის 6

ს ს ლიბერთი ბანკი

საბანკო კოდი LBRTGE 22

ს/ნ 17001003631

ა/ნ GE34LB0112117892456000

---------- ბ.ა.